თბილისის საოლქო სასამართლოს

მოსარჩელე:
ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
მის: 0105, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №1,
I სადარბაზო, მე-4 სართული
ტელ: 93 24 03; 99 04 72

მოპასუხეები:
საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მის: 0115, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68ა
ტელ: 23 06 64

შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"
SpiCapag/Petrofac International ltd
მის: 0107, ქ. თბილისი, ლიხაურის ქ. №4
ტელ: 33 19 96; 33 09 50

ს.ს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია"
მის: 0160, ქ. თბილისი, იმედაშვილის ქ. 18/17
ტელ: 24 40 00

ს ა რ ჩ ე ლ ი
(ადმინისტრაციული აქტის ნაწილის გათილობის შესახებ)

2003 წლის 24 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალზე" (შემდგომში – პროექტის ინვესტორი) გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 (იხ. დანართი 1) "საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალურ სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ – "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების პროექტზე". აღნიშნული პროექტი გულისხმობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის პროცესში მუშა-მოსამსახურეთა ბანაკებსა და სამშენებლო მოედნებზე წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებას სპეციალურ სათავსებში ქ. მარნეულის შესასვლელთან მდებარე მშენებელთა ბანაკის გვერდით გამოყოფილ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე და მის გადატანას შემდგომი გადამუშავების მიზნით გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარის მიმდებარედ განთავსებულ ნაგვის დასაწვად დანადგარ – ე.წ. "ინსინერატორში".

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (შემდგომში - გარემოს დაცვის) მინისტრმა 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანებით (იხ. დანართი 2) ბათილად სცნო 2003 წლის 24 დეკემბრის №0122 გარემოსდაცვითი ნებართვა. იმავე ბრძანებით, გარემოს დაცვის მინისტრმა აცნობა პროექტის ინვესტორს, რომ იგი

უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და "ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის (იხ. დანართი 3) საფუძველზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გარემოს დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანება ნაწილობრივ (იმ ნაწილში, რომლითაც გარემოს დაცვის სამინისტრო არ მიიჩნევს საჭიროდ პროექტის ინვესტორის მიერ ნებართვის აღებას და აცნობებს მას, რომ იგი უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და "ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე) ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

1

მართალია, გარემოს დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანების მიხედვით მიჩნეულია, რომ პროექტის ინვესტორის მიერ განხორციელებადი საქმიანობა გულისხმობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებას და შემდგომ "ინსინერატორის" მეშვეობით მათ დაწვას და რომ ინვესტორი უფლებამოსილია, განახორციელოს ეს საქმიანობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე 2002 წ. 30 ნოემბერს გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ნარჩენებთან დაკავშირებით აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას აუცილებლად ესაჭიროება ინვესტორის მიერ დამატებით სპეციალური გარემოსდაცვითი ნებართვის/ნებართვების მოპოვება. ეს გარემოება დასტურდება:

(ა) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად გარემოს დაცვის სამინისტროსთვის წარდგენილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშით (შემდგომ – ბსგზშ ანგარიში);[1]

(ბ) თვით 2002 წ. 30 ნოემბერს გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვით;

(გ) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის "ნარჩენების მართვის გეგმით". აღნიშნული გეგმა წარმოადგენს ბსგზშ ანგარიშის ნაწილს და მილსადენის კომპანიის კონტრაქტორის, შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს კონტროლის გეგმას ნარჩენების მართვის სფეროში;

(დ) შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს "ნარჩენების მართვის გეგმით". გეგმა შემუშავებულ იქნა შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს, (როგორც

[1] ბსგზშ ანგარიში შედგება ორი დოკუმენტისგან: 1. ბსგზშ ანგარიშის პროექტი საჯარო განხილვისთვის და 2. პასუხები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ბსგზშ ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კონტრაქტორის) მიერ ბსგზშ ანგარიშით (მილსადენის პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტებით) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

(ე) ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებით (რომელიც ამ შემთხვევაში სავალდებულოა შესასრულებელად);

(ვ) არსებული პრაქტიკით;

(ზ) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებით.

<u>(ა) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიშში</u>

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიშში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს ეთმობა 5.13 თავი (იხ. დანართი 4.1), რომელიც ცალსახად განმარტავს, რომ ნარჩენებთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს ევროგაერთიანების კანონმდებლობის მოთხოვნებს და უნდა განხორციელდეს მომავალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ მომზადებული "ნარჩენების მართვის გეგმის" და მილსადენის კომპანიის კონტრაქტორის "ნარჩენების მართვის გეგმის" შესაბამისად. კერძოდ:

- ბსგზშ ანგარიშის 5.13.2 ნაწილის თანახმად, "*მშენებლობის პროგრამის დაწყებამდე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის გუნდი მოამზადებს პროექტის ნარჩენების მენეჯმენტის გეგმას. გეგმა გულისხმობს შემდეგს: - თითოეული წარმოშობილი ნარჩენისთვის მინიმიზაციის, შეგროვების, შენახვის, გასუფთავების, თავიდან გამოყენების, ლიკვიდაციის გზების შემოთავაზებას; გამოაცალკევოს შესაძე მხარე, რომელიც თავიდან გამოიყენებს ნარჩენებს; ნარჩენების კრებაციის საშუალების და ადგილმდებარეობის შემოთავაზება; - ნგავსაყრელი ან გრძელვადიანი შენახვის ადგილების შესაძლო მდებარეობები და აღწერა; - მშენებლობის კონტრაქტორიდან ოპერატორისადმი კონტროლის გადაცემის აღწერა, ნარჩენების საკომისიო მიღების ჩათვლით.";*

- ბსგზშ ანგარიშის 5.13.3 ნაწილის თანახმად, "*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი მიზნად ისახავს მიიღოს ევროგაერთიანების დირექტივებში და წესებში მითითებული ნარჩენების მართვის სტანდარტები*";

- ამავე ნაწილის თანახმად, "*იმ ნარჩენების მოცულობა, რომელიც საბოლოოდ მოცილების საჭიროებს, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ნარჩენების წარმოქმნის კონტროლისა და მათი დაწვის მუშეობით. ინერტული, ან უსაფრთხო ნარჩენები, რომელთა გადამუშავება ან უტილიზაცია ვერ ხერხდება, შეიძლება დაიწვას ღუმელში, რომელიც დაპროექტებულია და მუშაობს მუნიციპალური ნაგავსაწვავი ღუმელების შესახებ ევროკავშირის* ***89/369/EEC*** *დირექტივის შესაბამისად. მაგრ ნარჩენები შეიძლება დაიწვას ღუმელში, რომელიც დაპროექტებულია და მუშაობს მუნიციპალური ნაგავსაწვავი ღუმელების შესახებ ევროკავშირის* ***1994/67/EEC*** *და* ***89/369/EEC*** *დირექტივის შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რა სახისა ნარჩენები.";*

- ამავე ნაწილის თანახმად, ნარჩენების მესამე მხარისათვის (კონტრაქტორისთვის) გადაცემა დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში "*თუ მათი ოპერაციები, რომლებიც გამოყენებული იქნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ნარჩენების მიმართ, აკმაყოფილებს ევროგაერთიანების სპეციალურ სტანდარტებს*";

- ბსგზშ ანგარიშის 5.13.4 ნაწილის თანახმად, "*საკონტრაქტო პირობები მოითხოვს, რომ ნარჩენებთან დაკავშირებული ოპერაცია და საშუალება შეესაბამებოდეს ევროგაერთიანების*

შესაბამის კანონმდებლობასა და სახელმძღვანელო პრინციპებს. ევროკავშირის სტანდარტების მიღება შეესაბამება პროექტის მიერ დასახულ მიზანს – დაიცვას საერთაშორისო სტანდარტები და ვალდებულებები, რომლებსაც ითვალისწინებს ტერიტორიის მფლობელ ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება, რომელიც საქართველოსთვის დაიდო".

აღნიშნულს ადასტურებს ასევე, ბსგზშ ანგარიშის მე-8 თავი (იხ დანართი 4.2), რომლის თანახმად:

- "*ნებისმიერი სახის საქმიანობის დაწყებამდე, კონტრაქტორები ხელშეკრულების თანახმად ვალდებულნი არიან შეიმუშაონ მართვის გეგმები და მიიღონ მათი დამტკიცება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საოპერაციო კომპანიის მხრიდან. მართვის გეგმების განხორციელების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ხელშეკრულები ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საოპერაციო კომპანია აწარმოებს*" (ნაწილი 8.2.2);

- "*ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ჩადებული შემარბილებელი ღონისძიებები სავალდებულოდ დაედება იმ მართვის გეგმებს, რომლებიც კონტრაქტორმა უნდა შეიმუშაოს. კონტრაქტორი ხელშეკრულებით ვალდებულია სისრულეში მოიყვანოს ანგარიშში ჩადებული ყველა ღონისძიება და ის დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მითითებულია "ტენდერზე მოწვევის დოკუმენტში" (ამ დოკუმენტში მოცემულია სოციალური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების წინასწარი მონახაზი).* ***BP**-მ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს მშენებლობის კონტრაქტორის კონკრეტული განხორციელების გეგმები*" (ნაწილი 8.2.4);

- "*მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის* ***(4.01)*** *თანახმად, პროექტის დაწყებამდე სავალდებულოა გარემოსდაცვითი გეგმების მომზადება, დამტკიცება და ჩართვა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტში. ანგარიშის პროექტი ამ ვალდებულებას არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან მასში ჩადებულია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების პროექტები*" (ნაწილი 8.2.4).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიშში ნათლად არის განსაზღვრული, რომ თავად ანგარიში ადგენს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების მარეგულირებელ მხოლოდ და მხოლოდ ძირითად პრინციპებს, ხოლო დეტალური მოთხოვნები (მათ შორის, ნარჩენების განთავსებისა და დაწვისათვის საჭირო ნებართვების შესახებ) უნდა განისაზღვროს "ნარჩენების მართვის გეგმით". აღნიშნულს ადასტურებს:

- ბსგზშ ანგარიშის 14.2.1 ნაწილი (იხ. დანართი 4.3), რომლის თანახმად, "*ზოგიერთ შემთხვევაში უკვე შემუშავებულია გეგმების პროექტები, რომლებიც დანართების სახით არის წარმოდგენილი... სხვა შემთხვევებში გეგმებში შესატანი ღონისძიებები ნაწილობრივ იქნა შემუშავებული და საბოლოო სახე უნდა მიეცეს მშენებლობის კონტრაქტორთან ერთად. ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია "ჩარჩოები" ამ გეგმებისთვის, მათში დეტალურად არის მითითებული მიზნები, პრინციპები, სტანდარტები, რომლებიც დაკმაყოფილებული უნდა იქნეს, რესურსები და ზოგადი მოთხოვნები. აღნიშნულ ჩარჩოებში შედის: ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების გეგმა... მუშათა ბანაკების მართვის გეგმა... ნარჩენების განკარგვის გეგმა... ტრანსპორტის მოძრაობის მართვის გეგმა*";

- ბსგზშ ანგარიშის 14.3.12 ნაწილი (იხ. დანართი 4.4), რომლის თანახმად, ნარჩენების მართვის გეგმის მიზნებია: "*- პროექტის მშენებლობის/ექსპლუატაციაში გაშვების ფაზების განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების წარმოქმნის, ტრანსპორტირების, დამუშავების და გატანის საკითხების მარეგულირებელი სხვადასხვა ინსტრუქციის და ამკრძალავი წესების თავმოყრა ერთ დოკუმენტში; - ნარჩენების დამუშავების ან გატანის პროცედურასთან დაკავშირებული ნებართვების მოთხოვნების ჩამოყალიბება; - დეტალური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება ნარჩენების განკარგვის, გადატანის, დამუშავებისა და გატანის პროცესის*

თითოეული შემადგენელი ნაწილისთვის... – პოტენციური ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების წვის დანადგარების განთავსების ადგილების გარემოსდაცვითი მოთხოვნების დადგენა, ამ ადგილების შერჩევის წესისა და ფუნქციონირების შესაძლო მოვლის მითითებით... - იმის უზრუნველყოფა, რომ ნარჩენების გადაყრის ყველა პოტენციური მიწისქვეშა ადგილი და ნარჩენების მოცილების გეგმა წინასწარ დაქვემდებარება გარემოსდაცვით განხილვას და გარემოსდაცვითი რისკის შეფასებას";

მიუხედავად იმისა, რომ ბსგზშ ანგარიში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგად მოთხოვნებს აყალიბებს, ზოგ შემთხვევაში, ანგრიშში წარმოდგენილია კონკრეტული მოთხოვნებიც ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისა და შესაბამისი სანებართვო დოკუმენტების მოპოვების აუცილებლობის შესახებ. ასე მაგალითად, ანგარიშის 4.5.1 ნაწილში (იხ. დანართი 4.5) ნათლად არის განსაზღვრული, რომ "*სამშენებლო ნარჩენების განთავსების უბნისათვის უნდა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება სამშენებლო ნებართვისა და ნარჩენების განთავსების ლიცენზიის ასაღებად. სავარაუდოა, რომ ნარჩენების განთავსების უბნის ფუნქციონირება გაგრძელდება, პროექტი განხორციელდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენების საპროექტო ვადის გასვლის შემდეგაც, ხოლო ტერიტორიის კომპლექსური აღდგენა განხორციელდება ლიცენზიის პირობების შესაბამისად. ნებისმიერი მცირე კარიერის ან ინერტული ნარჩენების განთავსების უბნის სამშენებლო პროცესში შექმნა-გამოყენებისთვის აღებული იქნება გარემოსდაცვითი ნებართვა, ხოლო ზემოაღნიშნული ობიექტების ტერიტორიების კომპლექსური აღდგენა იწარმოებს გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესაბამისად*".

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ის არგუმენტები, რომლებიც წარმოდგენილია გარემოს დაცვის მინისტრის 2004 წ. 16 სექტემბრის №55 ბრძანებაზე თანდართულ სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და ლიცენზიების სამსახურის უფროსის მოადგილის გ. ჟორჟოლიანის მოხსენებით ბარათში (იხ. დანართი 2) და რომელიც საფუძვლად დაედო ამ ბრძანების გამოცემას, აბსოლუტურად მცდარია.

1. ბ-ნი გ. ჟორჟოლიანის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიშში "*ინსინირატორის მოწყობა განხილული იყო, როგორც შესაძლო მოწყობილობის განთავსების საკითხი, გარდაბანში* ***PSG-1***-*ის მიმდებარე ტერიტორიაზე*".

ის, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში ბსგზშ ანგარიშის მიხედვით გათვალისწინებულია სხვადასხვა მოწყობილობების განთავსების ალბათობა, არ ნიშნავს, რომ ამ მოწყობილობების ფუნქციონირებისათვის და მათი მეშვეობით საქმიანობის განხორციელებისათვის არ არის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნებართვების აღება. "ინსინირატორის", როგორც მოწყობილობის განთავსება თავისთავად არ არის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი კატეგორიის საქმიანობა, რომლისთვისაც საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ს) ჩატარება და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა. "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე ნაწილის "კ" პუნქტის მიხედვით, პირველი კატეგორიის საქმიანობად (რომელიც საჭიროებს შესაბამისი ხარისხის გარემოსდაცვით ნებართვას) ითვლება "ნარჩენების გადამუშავება და განთავსება" და არა უბრალოდ, მოწყობილობის განთავსება.

2. ყურადსაღებია ისიც, თუ რა კონტექსტშია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიშში ნახსენები ნარჩენების კრემატორიუმი – "ინსინერატორი".

2004 წლის 13 აპრილს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-მ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტს მიმართა თხოვნით, მოეწოდებინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიშიდან ის შესაბამისი ამონარიდი, სადაც განხილული იყო გარდაბანში "ინსინერატორის" მოწყობასთან და მის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები და რომელიც გახდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა/არ გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი (იხ. დანართი 5). პასუხად, ბ-ნმა გ. ჟორჟოლიანმა წარმოადგინა ამონარიდი ბსგზშ ანგარიშიდან (იხ. დანართი 6), სადაც ნავთობსადენის პროექტის ზოგადი მიმოხილვისადმი მიძღვნილ თავში (და არა ნარჩენების მართვისდამი მიძღვნილ თავში), ცხრილში 5-8, მხოლოდ და მხოლოდ ჩამოთვლილია მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული ძირითადი სტაციონარული დანადგარები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს ნავთობსადენის მშენებლობის ფაზაში. ცხრილში ასევე აღნიშნულია, რომ ნარჩენების კრემატორიუმის (თუ კრემატორიუმების) ადგილმდებარეობა განსაზღვრული იქნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კონტრაქტორის მიერ მუშათა ბანაკებისა და მილსაწყობების საჭირო რაოდენობისა და ადგილმდებარეობების განსაზღვრის შემდეგ.

აღნიშნულის საფუძველზე, თუ დავუჯერებთ გარემოს დაცვის სამინისტროს მტკიცებას, რომ გარემოსდაცვითი ნებართვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კონტრაქტორს არ სჭირდება და რომ მას შეუძლია ისარგებლოს მისი დამქირავებლისთვის უკვე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვით, ამ ლოგიკით გამოდის, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ წინასწარ მისცა უფლება პროექტის ინვესტორს, თავისი შეხედულებისამებრ ნებისმიერ ტერიტორიაზე (მაგალითად, თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის პროსპექტზე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, საოლქო სასამართლოს ეზოში და სხვ.) ააშენოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ნარჩენების კრემატორიუმებს და ნაგავსაყრელებს. მსგავსი "ინდულგენციების" გაცემის უფლება გარემოს დაცვის სამინისტროს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამას აღიარებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაც, რომელიც როგორც ბსგზშ ანგარიშიდან ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, ავალდებულებს თავის კონტრაქტორს ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებისთვის ჩაატაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებები და მოიპოვოს გარემოს დაცვის სამინისტროსგან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტები, მათ შორის გარემოსდაცვითი ნებართვები.

ამდენად, 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვით ვერანაირად ვერ ისარგებლებს პროექტის ინვესტორი (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კონტრაქტორი) თავის საქმიანობაში.

(ბ) 2002 წ. 30 ნოემბერს გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვა

2002 წ. 15 ოქტომბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად გარემოს დაცვის სამინისტროს განსახილველად წარუდგინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ბსგზშ ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტის განხილვის შემდეგ 2002 წ. 30 ნოემბერს გარემოს დაცვის სამინისტრომ გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა №0011 საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანსპორტირებაზე (იხ. დანართი 3).

აღნიშნული გარემოსდაცვითი ნებართვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ნებართვას თანდართული პირობები (განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხა), რომლებიც ეფუძნება ბსგზშ ანგარიშს და სავალდებულოა შესასრულებლად. №0011 გარემოსდაცვითი ნებართვას თანდართული პირობების მე-12 მუხლი (არსებული გარემო პირობების დამატებითი შესწავლა) ავალდებულებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას:

"შეიმუშაოს ნარჩენების მართვის ოპტიმალური სტრატეგია, პროგრამა და გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს წესებს იმ ნარჩენების მართვის ან/და განთავსების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება მილსადენის მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში... ნარჩენების მართვის სტრატეგია, პროგრამა და გეგმა უნდა წარუდგინოს და განხილულ იქნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან".

ნებართვის აღნიშნული მუხლიდან დასტურდება, რომ: (ა) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე ნებართვის გაცემის დღისათვის არ იყო შემუშავებული (და შესაბამისად, არც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი) ნარჩენების მართვის არც ოპტიმალური სტრატეგია და პროგრამა და არც გეგმა; (ბ) ბსგზშ ანგარიშში ასახული ინფორმაცია მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში გენერირებული ნარჩენების მართვის ღონისძიებების (მათ შორის, ნარჩენების განთავსებისა და დაწვის) შესახებ არასაკმარისი იყო (რაც თავად აღიარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ) და სწორედ ამიტომ დაავალდებულა გარემოს დაცვის სამინისტრომ მილსადენის კომპანია, წარმოედგინა ნარჩენების მართვის ოპტიმალური სტრატეგია, პროგრამა და გეგმა.

გასათვალისწინებელია, რომ პროექტის ინვესტორის მიერ ნარჩენების განთავსებასა და "ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომ დაწვაზე განაცხადი გარემოს დაცვის სამინისტროში წარდგენილი იქნა №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის მე-12 მუხლში ჩამოყალიბებული პირობის შესრულებამდე, რასაც ადასტურებს ბ-ნი გ. ელრეფოლიანის მოხსენებითი ბარათიც (იხ. დანართი 2). თუმცა, ამ გარემოებამ არ შეუშალა ხელი გარემოს დაცვის სამინისტროს მიეღო გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ და თანაც კანონმდებლობის მოთხოვნათა იგნორირებით.

საგულისხმოა, რომ ამგვარად მიღებული გადაწყვეტილების შედეგმაც არ დააყოვნა. 2004 წლის იენისში, "ინსინერატორის" ექსპლუატაციის საწყის ეტაპზეც, გენერირებული ნარჩენების რაოდენობის არასწორი პროგნოზირებისა და ამ პერიოდისთვის უკვე შემუშავებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კონტრაქტორის "ნარჩენების მართვის გეგმით" გათვალისწინებული მოთხოვნების

შეუსრულებლობის გამო, გარდაბანში PSG-1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე კრიტიკული ვითარება შეიქმნა – ტერიტორიაზე დაგროვდა სწრაფად დეგრადირებადი ნარჩენები, რომელიც იზიდავდა გველებსა და სხვა მავნებლებს, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა ადამიანთა ჯანმთელობას და მნიშვნელოვნად ზრდიდა უსაფრთხოების რისკს.

ზემოაღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის გარემოს დაცვის მენეჯერის, ბ-ნი მ. ჭელიძის 2004 წ. 12 ივლისის წერილი გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის, ბ-ნი ზ. ლომთაძისადმი (იხ. დანართი 7), სადაც ბ-ნი მ. ჭელიძე აღნიშნავს:

"გაცნობებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში მშენებელ კომპანიას შეექმნა გარკვეული სირთულეები ნარჩენების განთავსებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი პრობლემის მიზეზი თვით მშენებელი კომპანიის მიერ ნარჩენების რაოდენობის არასწორი პროგნოზირება და გეგმით გათვალისწინებული პროცედურების შეუსრულებლობაა (რასაც თვით კომპანიაც აღიარებს) გარემოსდაცვითი და სანიტარული სიტუაციის მკვეთრი გაუარესების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პრობლემის სანქარიდ გადაჭრა.".

2002 წ. 30 ნოემბერს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ №0011 გარემოსდაცვით ნებართვასთან დაკავშირებით ყურადსაღებია ასევე, კიდევ ერთი გარემოება.

ზემოაღნიშნულ გარემოსდაცვით ნებართვაში პირდაპირაა მითითებული, რომ ნებართვის მიმღებ სუბიექტს წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია და არა პროექტის ინვესტორი (შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"). გარემოსდაცვითი ნებართვის ტექსტიდან ასევე ირკვევა, რომ ის გაცემულია საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანსპორტირებისათვის და არა ნარჩენების გადამუშავებისა და განთავსებისათვის, რაც სხვადასხვა სახის საქმიანობაა. ანუ, ნებართვის ფორმის ორივე ძირითადი ატრიბუტი – ნებადართული საქმიანობა და ნებართვის მიმღები სუბიექტი – რომელიც აუცილებელია ნებართვის მიმღებისა და ნებადართული საქმიანობის იდენტიფიკაციისათვის, განსხვავებულია.

ის, რომ ნავთობის ტრანსპორტირება და ნარჩნების გადამუშავება და განთავსება სხვადასხვა საქმიანობებია, დასტურდება თვით "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონითაც. კანონი ერთმანეთისგან ასხვავებს "მაგისტრალური მილსადენების პროექტებს" და "ნარჩენების გადამუშავებასა და განთავსებას", როგორც ორ დამოუკიდებელ და ამავე დროს, პირველი კატეგორიის საქმიანობას. შესაბამისად, ერთ-ერთ ასეთ საქმიანობაზე ერთი პირისთვის გაცემული ნებართვა არ შეიძლება, იმავდროულად სხვა პირს სრულიად განსხვავებული საქმიანობის წარმოების უფლებას ანიჭებდეს, მითუმეტეს, რომ ამის შესახებ არც თავად №0011 გარემოსდაცვით ნებართვაშია აღნიშნული. ამდენად, ორი განსხვავებული საქმიანობის ერთი და იგივე ნებართვის საფუძველზე განხორციელება კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევაა.

(გ) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის "ნარჩენების მართვის გეგმა"

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ "ნარჩენების მართვის გეგმა" მოგვიანებით მართლაც შეიმუშავა და 2003 წლის მაისში წარუდგინა გარემოს დაცვის სამინისტროს (იხ. დანართი 8). აღნიშნული გეგმა მომზადებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ ბსგზშ ანგარიშით (და მილსადენის პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციით) აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და ადგენს მისი კონტრაქტორისთვის ნარჩენების მართვის სფეროში სავალდებულო სახელმძღვანელო მოთხოვნებს.

ამ გეგმაში, ისევე როგორც ბსგზშ ანგარიშში არაერთხელაა აღნიშნული, რომ კომპანიის კონტრაქტორის ნარჩენებთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ამ გეგმის, საქართველოს კანონმდებლობისა და ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს; საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს შორის განსხვავების შემთხვევაში კი, კომპანიის კონტრაქტორი ვალდებულია შეასრულოს მათ შორის უმკაცრესი.

(დ) შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალ"-ის (პროექტის ინვესტორის) "ნარჩენების მართვის გეგმა"

ბსგზშ ანგარიშის, №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის "ნაჩენების მართვის გეგმის" (და ასევე, მილსადენის პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციით) მოთხოვნათა შესაბამისად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად პროექტის ინვესტორმა (შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალ"-მა) შეიმუშავა "ნარჩენების მართვის გეგმა" (იხ. დანართი 9). აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ, შეთანხმებულია გარემოს დაცვის სამინისტროსთან (გეგმა ინგლისურ ენაზე გარემოს დაცვის სამინისტროს განსახილველად წარუდგინა 2003 წლის 10 დეკემბერს – იხ. დანართი 10) და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად.

აღნიშნული გეგმის შესავალ ნაწილში ნათლად არის განსაზღვრული, რომ ის ზოგადი მართვის გეგმაა და "*პროექტის მიმდინარეობის პროცესში შემუშავდება კონკრეტული სამშენებლო ადგილის დოკუმენტაცია, მათ შორის სხვა გეგმები და წესები, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნება კონკრეტული საშუალებების, გეოგრაფიული რეგიონის ან საპროექტო საქმიანობისათვის მოსალოდნელი ზიანის სათანადოდ შემსუბუქებისა და განსაზღვრული რისკების მართვა-კონტროლისთვის საჭირო ზომები*".

პროექტის ინვესტორის "ნარჩენების მართვის გეგმის" შესავალში (იხ. გვ.6) ასევე, დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განსაზღვრულია ის, რომ გეგმამ უნდა "*დაადგინოს, თუ რა ნებართვებია საჭირო ნარჩენების დამუშავებისა და განადგურებისათვის*".

აღნიშნული გეგმის მე-5 თავის 5.1.1 ნაწილში პროექტის ინვესტორი აღიარებს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობა განეკუთვნება "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი კატეგორიის საქმიანობას. პროექტის ინვესტორი აღნიშნავს,

რომ კანონის მე-4 მუხლის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად, "*ნარჩენების განადგურების, ნაგავსაყრელზე დაყრის, კრემაციის, შენახვისა და ნამდინარე წყლების დამუშავების მიზნით საჭიროა გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება*" და რომ გარემოს დაცვის სამინისტრო "*კანონის მე-5 მუხლში განსაზღვრული ინფორმაციის* (მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის) *წარდგენის საფუძველზე გასცემს გარემოსდაცვით ნებართვებს*".

"ნარჩენების მართვის გეგმის" მე-6 თავი ადგენს პროექტის ინვესტორის უფლება-მოვალეობებს. ამ თავში ნათლადაა განსაზღვრული, რომ რომ პროექტის ინვესტორი ვალდებულია ნარჩენების მართვის ობიექტებისთვის მოიპოვოს სათანადო ნებართვები და/ან ლიცენზიები და უზრუნველყოს მათი დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია ევროკავშირის და საქართველოს შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად. ყურადსაღებია, რომ გეგმის ამ თავში ისიც კი არის დადგენილი, პროექტის ინვესტორის მიერ დაქირავებული რომელი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობაა გარემოსდაცვითი ნებართვების მოპოვება (6.1.2, 6.1.3 და 6.1.4 ნაწილები).

"ნარჩენების მართვის გეგმის" მე-7 თავის 7.1.1 ნაწილი მთლიანად ნებართვებს ეთმობა. ამ ნაწილის თანახმად, პროექტის ინვესტორი აცხადებს, რომ მას სჭირდება ნებართვების მიღება ნარჩენების შენახვის, ტრანსპორტირების, დამუშავებისა და განადგურებისთვის და ამ მიზნით ის მიმართავს შესაბამის ორგანოებს, მათ შორის გარემოს დაცვის სამინისტროს. ამავე თავის 7.4.5 ნაწილში პროექტის ინვესტორი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის ნარჩენების დამუშავებასა და განადგურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ობიექტის ექსპლუატაციისთვის საჭირო ყოველგვარი ნებართვისთვის "*დადგენილი წესით განცხადებით მიმართავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს*".

ამავე თავის 7.4.9 ნაწილში, რომელიც სპეციფიურად კრემატორიუმებს ("ინსინერატორებს") ეხება აღნიშნულია, რომ კრემატორიუმების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია მავნე ნარჩენების კრემატორიუმების შესახებ ევროკავშირის 94/67/EC დირექტივის შესაბამისად განხორციელდება.

განსაკუთრებით ყურადსაღებია "ნარჩენების მართვის გეგმის" დანართი II, რომელშიც პროექტის ინვესტორი "ინსინერატორებისადმი" მიძღვნილ ქვეთავში ცალსახად განმარტავს, რომ "ინსინერატორების" დაპროექტება და ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს "სახიფათო ნარჩენების დაწვის შესახებ" ევროკავშირის 94/67/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად და რომ "ინსინერატორის" განთავსებისთვის აუცილებელია გარემოს დაცვის სამინისტროსგან გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება (იხ. დანართი 11). ამავე დანართში პროექტის ინვესტორი ასევე აღნიშნავს, რომ ნაგავსაყრელის მოწყობისთვის (მშენებლობისთვის) აუცილებელია მიწის შესყიდვა და გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, რომლის თანახმად, ნაგავსაყრელების მოწყობა (მშენებლობა) და ფუნქციონირება განეკუთვნება I კატეგორიის საქმიანობას (პროექტს) და ამდენად, პროექტი საჭიროებს სრულმასშტაბიანი "გარემოზე ზემოქმედების შეფასების" (გზშ-ს) ჩატარებას და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მის დამტკიცებას (იხ. დანართი 11).

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროექტის ინვესტორს ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ნავთობსადენის პროექტის მშენებლობის ფაზაში გენერირებული ნარჩენების განთავსებისა და დაწვისათვის მას უნდა შეესრულებინა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები, რათა მოეპოვებინა გარემოსდაცვითი ნებართვა/ნებართვები. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული გარემოს დაცვის სამინისტროსაც, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოება:

მას შემდეგ, რაც გარემოს დაცვის სამინისტრომ განიხილა პროექტის ინვესტორის მიერ წარდგენილი "ნარჩენების მართვის გეგმა", სამინისტრომ პროექტის ინვესტორს 2004 წლის თებერვალში გაუგზავნა შენიშვნები გეგმის თაობაზე (იხ. დანართი 12). შენიშვნები მომზადდა ერთობლივად – გარემოს დაცვის სამინისტროს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტით განხორციელებადი "ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერების პროექტის" ფარგლებში დაქირავებული გარემოსდაცვითი მრჩეველის ექსპერტების მიერ. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ 2002 წლიდან უწევს რჩევებს საქართველოს მთავრობას (მათ შორის, გარემოს დაცვის სამინისტროს) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხების თაობაზე.

სამინისტროს მიერ პროექტის ინვესტორისთვის გაგზავნილი ზემოაღნიშნული დოკუმენტი ცხადყოფს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო (ისევე როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია) დარწმუნებული იყო, რომ ნარჩენების განთავსება და "ინსინერატორის" საშუალებით დაწვა განეკუთვნება "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირველი კატეგორიის საქმიანობას და რომ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის, აუცილებელია პროექტის ინვესტორის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ს) ჩატარება და გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია (იხ. გვ.4):

*"ნარჩენების დაგროვების ერთი ცენტრალური კოლექტორი (CWAA) იქნება განლაგებული **PSG1** მახლობლად, ნარჩენების დროებითი შენახვისა და რეციკლირებისთვის; ნარჩენების დაგროვების ცენტრალური კოლექტორის დემობილიზაციის სტრატეგია ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. პუნქტში 7.3.5 აღნიშნული ნარჩენების კოლექტორების სპეციფიკა უნდა იყოს მოცემული. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში არ არსებობს არცერთი გამოსადეგი ნაგავსაყრელი, დიდი რაოდენობის ნარჩენი შეგროვდება **CWAA** (ამ დროიდან) დაუდგენელი დროის განმავლობაში; უფრო მეტიც, ინსინერატორიდან მოხდება გაზების გაფრქვევა, <u>ამ სახის საქმიანობა მოითხოვს გზშ და გარემოსდაცვით ნებართვას (დაცვით ზომებს)</u>".*

<u>(ე) ევროკავშირის კანონმდებლობა</u>

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის "ნარჩენების მართვის გეგმაში", ისევე როგორც მისი კონტრაქტორის, პროექტის ინვესტორის "ნარჩენების მართვის გეგმაში" არაერთხელ არის მინიშნება ევროკავშირის მთელ რიგ დირექტივებზე, რომელთა მიხედვითაც ნარჩენების განთავსებისა და დაწვისათვის პროექტის ინვესტორს ესაჭიროება გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება.

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, პროექტის ინვესტორს დაგეგმილი საქმიანობისათვის სავალდებულოდ ესაჭიროება არა უბრალოდ ნებართვა არამედ ნებართვები. ამასთან, ამ ნებართვების გაცემის პროცესში, ევროკავშირისვე დირექტივების შესაბამისად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საზოგადოების მონაწილეობა (ზემოაღნიშნული 94/67/EC დირექტივის მე-4 მუხლის და 90/313/EEC დირექტივის შესაბამისად), რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა. გარემოსდაცვითი ნებართვები პროექტის ინვესტორს ესაჭიროება როგორც ნარჩენების განთავსების უბნის მოსაწყობად, ისე "ინსინირატორისთვის", ე.ი. სულ ცოტა ორი ნებართვა ამ კონკრეტული შემთხვევისთვის.

გარდა ამისა, "ნარჩენების შესახებ" ევროგაერთიანების 75/442/EEC დირექტივის თანახმად (იხ. დანართი 13), ნებართვების გაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებართვები აკმაყოფილებს და ითვალისწინებს გარკვეულ მოთხოვნებს. კერძოდ, აღნიშნული დირექტივის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებართვაში განსაზღვრული უნდა იყოს: ნარჩენების სახეები და რაოდენობა, ტექნიკური მოთხოვნები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი ზომები, ნარჩენების განთავსების ადგილი და გადამუშავების მეთოდი.

ამასთან, "სახიფათო ნარჩენების დაწვის შესახებ" ევროგაერთიანების 94/67/EC დირექტივის მოთხოვნათა თანახმად (იხ. დანართი 14, მუხლი 3), კომპეტენტური ორგანოს მიერ სახიფათო ნარჩენების დაწვაზე გაცემულ ნებართვაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული იმ სახიფათო ნარჩენების სახეები და რაოდენობა, რომელიც დაიწვება "ინსინირატორში" და ასევე, "ინსინირატორის" წარმადობა. გარდა ამისა, ნებართვაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სახიფათო ნარჩენების მინიმალური და მაქსიმალური მასა, მათი თბოუნარიანობის ზღვრული მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები და მათში ისეთი დამბინძურებლების მაქსიმალური შემცველობა, როგორიცაა მაგალითად, პოლიქლორირებული ბიფენილები, პენტაქლორირებული ფენოლები, ქლორი, ფტორი, გოგირდი, მძიმე ლითონები. "ინსინირატორის" ფუნქციონირების მონიტორინგისათვის, კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვით ან მისი პირობებით, ასევე დადგენილი უნდა იყოს დამბინძურებლების პარამეტრებისა და კონცენტრაციების გაზომვისადმი მოთხოვნები. ამასთან, ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში მითითებული გაზომვის მეთოდები შეესაბამება ზემოაღნიშნული დირექტივის მე-3 დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებს (იხ. მუხლი 10).

თვალნათელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვა. შესაბამისად, ეს ნებართვა ვერანაირად ვერ ჩაითვლება ნარჩენების განთავსებასა და "ინსინირატორის" მეშვეობით დაწვასთან დაკავშირებით გაცემულ ნებართვად.

ევროკავშირის კანონმდებლობის ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესახებ პროექტის ინვესტორმა შესანიშნავად იცოდა, რაც დასტურდება თუნდაც მისი "ნარჩენების მართვის გეგმით", სადაც მიმოხილულია როგორც სხვა, ისე ზემოაღნიშნული დირექტივები, რომლებიც პროექტის ინვესტორისთვის სავალდებულოა

შესასრულებელად. ამ მოთხოვნების შესახებ იცოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამაც, რომელმაც დაამტკიცა მისი კონტრაქტორის "ნარჩენების მართვის გეგმა". მათ შესახებ იცოდა გარემოს დაცვის სამინისტრომაც, რომელმაც ეს გეგმა მოიწონა. გარემოს დაცვის სამინისტროს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ევროგაერთიანების ამ დირექტივების მოთხოვნების შესახებ თუნდაც იმიტომ, რომ მას (ისევე როგორც საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ სხვა ორგანოს) აკისრია ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პასუხისმგებლობა (იხ. საქართველოს პარლამენტის 1997 წ. 2 სექტემბრის №828-Iს დადგენილება; საქართველოს პრეზიდენტის 2000 წ. 31 დეკემბრის №1422 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2001 წ. 14 ივნისის №613 განკარგულება; საქართველოს მთავრობის 2004 წ. 08 მაისის №22 განკარგულება).

ზემოთ ჩამოთვლილმა სამივე მხარემ კარგად იცოდა ის, რომ ევროგაერთიანების კანონმდებლობის მიხედვით ნარჩენების განთავსებისა და დაწვისათვის პროექტის ინვესტორს ესაჭიროებოდა გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება და ისიც, რომ კომპეტენტური ორგანო, რომელსაც უნდა გაეცა ევროგაერთიანების კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვა/ნებართვები არის გარემოს დაცვის სამინისტრო. ამას კიდევ ერთხელ მოწმობს პროექტის ინვესტორის "ნარჩენების მართვის გეგმის" დანართი II (იხ. დანართი 11), სადაც აღნიშნულია:

"ინსინერატორების" დაპროექტება, ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს "სახიფათო ნარჩენების დაწვის შესახებ" ევროგაერთიანების 1994/67/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად (პუნქტი 3.6.3 დოკუმენტი №410088/00/L/SA/SP/006). "ინსინერატორის" განთავსებისთვის აუცილებელია გარემოს დაცვის სამინისტროსგან გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება".

<u>(3) არსებული პრაქტიკა</u>

არსებული პრაქტიკა ასევე მეტყველებს, რომ არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოსდა რადგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ 2002 წლის 30 ნოემბერს მოიპოვა გარემოსდაცვითი ნებართვა №0011 ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე, ამიტომ მას და მის კონტრაქტორებს აღარ ესაჭიროებათ გარემოსდაცვითი ნებართვები ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებული სხვა კონკრეტული საქმიანობებისთვის. სარჩელზე თანდართულ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურის უფროსის, ბ-ნი თ. გოდერძიშვილის 2004 წ. 16 ნოემბრის №21-16/407 წერილში (იხ. დანართი 15) წარმოდგენილია იმ ნებართვებისა და ლიცენზიების სია, რომლებიც გაცემულ იქნა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა და მისი კონტრაქტორებისთვის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების განსახორციელებლად.

ის, რომ ნარჩენების განთავსებისთვის და "ინსინერატორის" მეშვეობით ნარჩენების დაწვისთვის დამატებით საჭირო იყო გარემოსდაცვითი ნებართვის აღება, კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული როგორც პროექტის ინვესტორს, ისე გარემოს დაცვის სამინისტროს. პროექტის ინვესტორმა ამ ნებართვის ასაღებად შესაბამისი მოთხოვნით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და ამ უკანასკნელმა ეს ნებართვა გასცა. სამწუხაროდ, გარემოს დაცვის სამინისტრომ გარემოსდაცვითი ნებართვა გასცა

კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის გარეშე და შემდეგ, შესაბამისი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ნაცვლად იმისა, რომ კანონიერი გზით გამოესწორებინა თავისი "შეცდომა", მან დაუშვა კიდევ უფრო სერიოზული დარღვევა და ახალი ბრძანებით, ფაქტიურად, გაათავისუფლა პროექტის ინვესტორი გარემოსდაცვითი ნებართვის აღების აუცილებლობისგან.

II

გარემოს დაცვის მინისტრმა, 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანების იმ ნაწილით, რომლითაც გადაწყვიტა ეცნობებინა პროექტის ინვესტორისთვის, რომ იგი *"უფლებამოსილია, საფოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და "ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე"*, ფაქტიურად, გაათავისუფლა პროექტის ინვესტორი "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის აღების აუცილებლობისგან და ამით უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. გარემოს დაცვის მინისტრმა ამ ბრძანებით ნარჩენების განთავსებასა და გადამუშავებაზე ნებართვის აღების აუცილებლობისგან გაათავისუფლა ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია, რომელსაც გარემოს დაცვის მინისტრის №55 ბრძანებაზე დაყრდნობით შეუძლია ჩათვალოს, რომ მას (ისევე, როგორც მის კონტრაქტორებს) ამ საქმიანობის განხორციელება №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე შეუძლია.

გარემოს დაცვის მინისტრს არცერთი კანონი არ აძლევს უფლებას გაათავისუფლოს ინვესტორები გარემოსდაცვითი ნებართვის აღების ვალდებულებისგან, მით უმეტეს პირველი კატეგორიის საქმიანობისთვის. თუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია და პროექტის ინვესტორი გარემოს დაცვის მინისტრის №55 ბრძანების საფუძველზე განახორციელებენ ნარჩენების განთავსებასა და გადამუშავებას (ანუ პირველი კატეგორიის საქმიანობას) შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე, ამან შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის დანაშაული (დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლით "პირველი კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე"). ე.ი. გარემოს დაცვის მინისტრის №55 ბრძანების გასაჩივრებული ნაწილის შესრულება გამოიწვევს სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტით გათვალისწინებულ ბათილობის საფუძველს.

არსებობს გარემოს დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანების ნაწილობრივ ბათილობის სხვა საფუძვლებიც.

ბრძანების გასაჩივრებული ნაწილი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს და ის მომზადებული და მიღებულია კანონით დადგენილი წესის არსებითი დარღვევით

(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი).

"გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კატეგორიის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელსაც გასცემს გარემოს დაცვის სამინისტრო. ამავე მუხლის მიხედვით, ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია: (1) გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ); (2) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა; (3) გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა უფრო დეტალურადაა განსაზღვრული ამავე კანონის მე-7 მუხლით.

კანონის მოთხოვნები მოპასუხეთა მიერ სრულიად იგნორირებული იყო. პროექტის ინვესტორმა არ შეიმუშავა გზშ-ის ანგარიში და არ წარადგინა განაცხადი სრულყოფილი ფორმით, გარემოს დაცვის სამინისტრომ არ შეასრულა კანონის მოთხოვნები საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ. ამით უხეშად შეილახა ჩვენი კანონიერი უფლებები გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლით, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და მე-7 მუხლებით, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "გ" და "ვ" პუნქტებით და ევროგაერთიანების დირექტივებით, რომელთა მოთხოვნები, ამ შემთხვევაში, სავალდებულოდ შესასრულებელია.

გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტის ინვესტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით შეეძლო მიეღო მხოლოდ ორი სახის გადაწყვეტილება – ან გაეცა გარემოსდაცვითი ნებართვა, ან უარი ეთქვა ნებართვის გაცემაზე, რადგან ამის ყველა საფუძველი არსებობდა (იხ. "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი). ამის ნაცვლად, გარემოს დაცვის სამინისტრომ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიღების უფლებამოსილებაც მას არცერთი კანონით არ ჰქონდა მინიჭებული. ამავე დროს, გარემოს დაცვის სამინისტრო არ უთითებს ადმინისტრაციულ აქტში ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს და ვერც მიუთითებს, რადგან ასეთი საფუძველი არცერთი კანონით არ არის გათვალისწინებული. გარემოსდაცვითი ნებართვის აღების აუცილებლობისგან გათავისუფლებას არ ითვალისწინებს არც "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულება და მისი დანართები. პირიქით, ამ ხელშეკრულების ტექსტი ცალსახად ადგენს, რომ გარემოსდაცვითი ნებართვების

აღება სავალდებულოა და რომ გარემოსდაცვითი ნებართვა ძირითადი ნებართვაა თავისი არსით.

№55 ბრძანების გასაჩივრებული ნაწილის გამოცემით გარემოს დაცვის მინისტრმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, რადგან გამოსცა აქტი, რომელსაც საკანონმდებლო საფუძველი არ გააჩნია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "*ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე*". საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, "*უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ავრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს*". როგორც უკვე აღვნიშნეთ, <u>გარემოს დაცვის მინისტრს კანონმდებლობის საფუძველზე არ გააჩნია იმის უფლება, რომ გაათავისუფლოს პროექტის ინვესტორი პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის აღების აუცილებლობისგან, ე.ი. 2004 წ. 16 სექტემბრის №55 ბრძანების გასაჩივრებული ნაწილი გარემოს დაცვის მინისტრმა გამოსცა უფლებამოსილების გადამეტებით. ამასთან, ამ აქტით უხეშად შეილახა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით (კერძოდ 37-ე მუხლით) გარანტირებული ჩვენი უფლებები. შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული აქტის ბათილობის კიდევ ერთი საფუძველი, გათვალისწინებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით.</u>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილების გადამეტება, აქტის ბათილობასთან ერთად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირის კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს გარემოს დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანების ნაწილობრივ ბათილობის საფუძვლები, გათვალისწინებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით და ასევე, მე-60 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "დ" პუნქტებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილობას.

გ თ ხ ო ვ თ:

გამოაცხადოთ ბათილად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და "ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის აღება არ არის მიჩნეული სავალდებულოდ და რომლის

მიხედვითაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დაადგინა, რომ უნდა ეცნობოს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალ ლიმიტედს", რომ იგი უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და "ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე.

მოსარჩელე – ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
გამგეობის თავმჯდომარე – მანანა ქოჩლაძე

(მ. ქოჩლაძე)

დანართები:

დანართი 1:	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 (6 გვერდი);
დანართი 2:	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანება და თანდართული ამავე სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და ლიცენზიების სამსახურის უფროსის მოადგილის, გია ჟორჟოლიანის მოხსენებითი ბარათი (6 გვერდი);
დანართი 3:	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 30 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა №0011 (9 გვერდი);
დანართი 4:	ამონარიდი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" (ბსგზშ) ანგარიშიდან (48 გვერდი);
დანართი 5:	ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს თავმჯდომარის, მანანა ქოჩლაძის 2004 წ. 13 აპრილის წერილი №04/02-22 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გია ჟორჟოლიანისადმი (2 გვერდი);
დანართი 6:	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, გია ჟორჟოლიანის 2004 წ. 19 აპრილის წერილი №13-12/56 ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს თავმჯდომარის, მანანა ქოჩლაძისადმი (9 გვერდი);

დანართი 7:	საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის გარემოს დაცვის მენეჯერის, მედგარ ჭელიძის 2004 წ. 12 ივლისის წერილი №289-8UN-04 საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, ზაალ ლომთაძისადმი (2 გვერდი);
დანართი 8:	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის "ნარჩენების მართვის გეგმა" (26 გვერდი);
დანართი 9:	შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალ"-ის "ნარჩენების მართვის გეგმა" (58 გვერდი);
დანართი 10:	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის, თამარ პირველის 2004 წ. 19 ნოემბრის №02-2/18-67 წერილი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სოციალური მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორის, ქეთი გუჯარაიძისადმი (2 გვერდი);
დანართი 11:	შპს "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალ"-ის "ნარჩენების მართვის გეგმის" დანართი II (15 გვერდი);
დანართი 12:	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინსტროს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და "ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერების პროექტის" ფარგლებში დაქირავებული გარემოსდაცვითი მრჩეველის მიერ მოშზადებული ერთობლივი შენიშვნები "სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალ"-ის "ნარჩენების მართვის გეგმის" თაობაზე (9 გვერდი);
დანართი 13:	ევროგაერთიანების 75/442/EEC დირექტივა "ნარჩენების შესახებ" (11 გვერდი);
დანართი 14:	ევროგაერთიანების 94/67/EC დირექტივა "სახიფათო ნარჩენების დაწვის შესახებ" (9 გვერდი);
დანართი 15:	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურის უფროსის, თ. გოდერძიშვილის 2004 წ. 16 ნოემბრის №21-16/407 წერილი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სოციალური მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორის, ქეთი გუჯარაიძისადმი (3 გვერდი).